საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-4388
16/11/2023

4388-გ-2-202311161331

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 26 ოქტომბრის 34-3423299151 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 227 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წეროვანში მდებარე 227 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გადის ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის შტო 1-ის გ-8[1] დახურული პლასტმასის გამანაწილებელი მილსადენი (ს/კ 72.00.757), რომლის გასხვისების ზოლი „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეადგენს მილის გარე კედლიდან აღმოსავლეთით 4 მეტრს, ხოლო დასავლეთით 2 მეტრს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისების შესაბამის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე, დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემების გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს საკადასტრო გეგმის დაკორექტირება გასხვისების ზოლების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

თამაზ მღებრიშვილი

გენერალური დირექტორი